



საქართველოს  
სახალხო დამცველი

სპეციალური ანგარიში

ადრეულ ასაკში ქორწინება: გამოწვევები და  
გადაჭრის გზები



დაფინანსებულია ბრიტანეთის საელჩოს მიერ, პროექტის „გოგონების უფლებების  
დაცვა და ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენცია“ ფარგლებში.

2016 წელი

[www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge)

## წინათქმა

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მიერ ადრეულ ასაკში ქორწინების ინდივიდუალური შემთხვევების შესწავლის, შესაბამისი უწყებების საქმიანობის მონიტორინგისა და საინფორმაციო შეხვედრების ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას, სწორედ, ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენცია წარმოადგენს. 2012 წლის საპარლამენტო ანგარიშში პირველად აისახა სიღრმისეული შეფასება და სტატისტიკური მონაცემები. 2015-2016 წლებში გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და აჭარის მუნიციპალურ ერთეულებში 30 შეხვედრა ჩაატარა, რომელიც მიზნად მიღებული ინფორმაციის გაანალიზებას, არსებული პრობლემებისა და შესაძლო გადაჭრის გზების გამოკვეთას ისახავდა.

საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ მთავარ გამოწვევას საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე, სერვისების მიწოდებისას არსებული ხარვეზები და არაეფექტური რეაგირება წარმოადგენს. ეს პრობლემები განსაკუთრებით მაღალმთიან და ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში იჩენს თავს, სადაც სერვისებზე ხელმისაწვდომობა რიგი მიზეზების გამო რთულდება.

მისასალმებელია, რომ 2015 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით განიხილა და მიიღო კანონპროექტი, რომლის მომზადების საფუძველი საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება გახდა. ცვლილების მიხედვით, 17-დან 18 წლამდე პირთა ქორწინების რეგისტრაციის წესი შეიცვალა იმგვარად, რომ ქორწინებაზე ნებართვის გაცემა მხოლოდ სასამართლოს შეეძლება. ასევე, დაზუსტდა ქორწინების რეგისტრაციის პატივსადები გარემოება და დებულების მოქმედების ვადა განისაზღვრა ერთი წლით.

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ბრიტანეთის საელჩოს მხარდაჭერით, პროექტის „გოგონათა უფლებების დაცვა და ადრეულ ასაკში ქორწინება“ ფარგლებში. ვიმედოვნებ, რომ ჩვენს მიერ გაწეული სამუშაო დაეხმარება ყველას, ვისაც ადრეულ ასაკში ქორწინების პრობლემასთან უწევს შეხება და ეს კიდევ ერთი მცირე, მაგრამ საჭირო ნაბიჯი იქნება ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციისა და აღმოფხვრის საქმეში.

უჩა ნანუაშვილი  
საქართველოს სახალხო დამცველი

## სარჩევი

შესავალი .....	4
ადრეულ ასაკში ქორწინების აღრიცხვიანობა და შემთხვევების მართვა .....	4
ადრეულ ასაკში ქორწინების პრაქტიკა საქართველოს რეგიონებში.....	10
ადრეულ ასაკში ქორწინების შედეგები.....	13
გენდერული როლები და სტერეოტიპები .....	15
ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციაზე პასუხისმგებელ პირთა როლი.....	17
დასკვნა .....	22
რეკომენდაციები.....	23

## შესავალი

ადრეულ ასაკში ქორწინება არის რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული კავშირი ორ ადამიანს შორის, რომელთაგან ერთ-ერთს სრულწლოვანების ასაკისთვის ჯერ არ მიუღწევია. ბავშვის უფლებათა კონვენციისა და საქართველოს შიდა საკანონმდებლო აქტების თანახმად, პირი არასრულწლოვანად 18 წლის ასაკის მიღწევამდე მიიჩნევა.

კვლევების თანახმად, განმტკიცდა მოსაზრება, რომ ადრეულ ასაკში ქორწინება არღვევს ბავშვის ჯანმრთელობის, განათლების, თანასწორობის, ძალადობისა და ექსპლუატაციისგან თავისუფალ გარემოში ცხოვრების უფლებას. ეს უფლებები დაცულია გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაციით, ბავშვის უფლებათა კონვენციითა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით.

მთელ მსოფლიოში მცხოვრები 700 მილიონზე მეტი ქალი დაქორწინებულია არასრულწლოვან ასაკში. აქედან, დაახლოებით 250 მილიონი კი, 15 წელს მიუღწეველი იყო.<sup>1</sup> გოგონები, რომლებიც 18 წლის ასაკამდე ქორწინდებიან, ხშირ შემთხვევაში აღარ აგრძელებენ სკოლაში სიარულს და წყვეტენ განათლების მიღებას. ისინი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფს განეკუთვნებიან.

სამწუხაროდ, ადრეულ ასაკში ქორწინება საქართველოშიც მწვავე პრობლემას წარმოადგენს. გავრცელებულია როგორც ქორწინების იძულების, ასევე ნიშნობების პრაქტიკაც. მთავარ გამოწვევას საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე და სერვისების არაეფექტური მიწოდება წარმოადგენს.

2014 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 150<sup>1</sup> მუხლი – ქორწინების იძულება დაემატა. თუმცა, საქართველოს პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის 2015 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა არც ერთი პირის მიმართ არ დაწყებულა.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, ბავშვის მიერ სკოლის მიტოვების შემთხვევაში, მიტოვების საფუძვლის მითითება ხდება; რამაც ნაწილობრივ შესაძლებელი გახადა ადრეულ ასაკში ქორწინების მასშტაბების დანახვა.


### ადრეულ ასაკში ქორწინების აღრიცხვიანობა და შემთხვევების მართვა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ადრეულ ასაკში ქორწინების ზუსტი რაოდენობა არ არის ცნობილი, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა მოაგროვა ის მონაცემები, რომლებიც სხვადასხვა უწყებების კომპეტენციის ფარგლებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აღირიცხება.

---


<sup>1</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია: [http://www.unicef.org/media/files/Child\\_Marriage\\_Report\\_7\\_17\\_LR..pdf](http://www.unicef.org/media/files/Child_Marriage_Report_7_17_LR..pdf)

**ცხრილი #1: ადრეულ ასაკში ქორწინების მონაცემები (2015 წელი)**



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,<sup>2</sup> 2015 წელს 611 არასრულწლოვანი პირის ქორწინების რეგისტრაცია განხორციელდა, ხოლო 2014 წელს – 665. მოცემული მაჩვენებლებიდან, 95%-ის შემთხვევაში, არასრულწლოვანი გოგო იყო. ნათელია, რომ ადრეული ქორწინების შემთხვევაში, ძირითადად, გოგონებზე ვსაუბრობთ, თუმცა, ბიჭების ნაადრევი ქორწინების ფაქტებიც ხდება.

**ცხრილი #2: რეგისტრირებული ქორწინება 16–დან 18 წლამდე პირთა შორის (2015 წელი)**




თითქმის სამჯერ მეტია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემები,<sup>3</sup> რომლებიც ბავშვის რეგისტრაციის მომენტში არასრულწლოვანი მშობლების რაოდენობას შეეხება. 2014-

<sup>2</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილები: #7264 / 23.09.2015, #01/14677 / 25.01.16.


<sup>3</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილები: #7264 / 23.09.2015; #01/14677 / 25.01.16;

2015 წლის მონაცემები თითქმის იდენტურია; თუმცა, ყველა დანარჩენ მონაცემებს, რომელიც ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით მოვიპოვეთ, საგრძნობლად აღემატება და ამასთან, გაცილებით უფრო ზუსტია, რადგან ქორწინების რეგისტრაცია ხშირად არ ხდება.

**ცხრილი #3: ბავშვის დაბადების მომენტისთვის არასრულწლოვანი მშობელი**




**ცხრილი #4: არასრულწლოვანი მშობლების მონაცემების გეოგრაფიული განფენილობა (2015)**



აღსანიშნავია, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების მიზნით, არასრულწლოვანი პირები ხშირად ტოვებენ განათლების მიღებას. განსაკუთრებით შემამფოთებელია საბაზო საფეხურის დასრულებამდე სკოლის დატოვების ფაქტები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად<sup>4</sup>, 2015 წელს, ოჯახის შექმნის მიზეზით, სწავლა 13–დან 17 წლამდე 408 მოსწავლემ შეწყვიტა, ხოლო 168 შემთხვევაში, სწავლას თავი 18 წელს მიღწეულმა პირმა დაანება.

<sup>4</sup> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილები # MES 7 15 00971410 / 25.09.15 – MES 8 16 00046633 /21.01.16

**ცხრილი #5: ადრეულ ასაკში ქორწინების მიზნით სკოლის მიტოვების მაჩვენებლები (2015 წელი)**



აღსანიშნავია, რომ სავარაუდოდ, ეს მონაცემები ზუსტი არ არის, ვინაიდან ქვემო ქართლის მუნიციპალურ ერთეულებში ჩატარებული შეხვედრების დროს, სკოლის პედაგოგები და დირექტორები არ იყვნენ ინფორმირებულნი იმის შესახებ, რომ აუცილებელია ბავშვთა სკოლის მიტოვების მიზეზების შესახებ სტატისტიკის წარმოება და შესაბამისი შეტყობინების გაკეთება. თუმცა კი, შეხვედრაზე დამსწრეთა უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ მათ სოფლებში თითქმის არც ერთი გოგონა არ ამთავრებს სკოლას სწორედ იმიტომ, რომ ქორწინდება. ეს გვამღევეს ვარაუდის საფუძველს, რომ აღრიცხვიანობის სისტემის საბოლოო დანერგვის შემდეგ, მონაცემები შესაძლოა კიდევ გაიზარდოს.

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში: რეფერირების პროცედურები) 2010 წლის 31 მაისის ბრძანებაში დეტალურად არის გაწერილი საქართველოს შინაგან საქმეთა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების მოვალეობები და ვალდებულებები, როდესაც ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევა წარმოიშობა. თუმცა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მუშაობის შედეგები ცხადყოფს, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებთან დაკავშირებით, რეფერირების პროცედურით გათვალისწინებული საკითხები თითქმის არ სრულდება.

როგორც უკვე აღინიშნა, ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს პედაგოგები წარმოადგენენ, რომელთა ვალდებულებაშიც ფაქტის შეტყობის შემდეგ შესაბამისი სტრუქტურების ინფორმირება შედის. გასაუბრებიდან ირკვევა, რომ პედაგოგების აზრით, რისკის ჯგუფის ბავშვთა იდენტიფიცირება და შესაბამისი სტრუქტურების ინფორმირება მათ კომპეტენციას სცდება და ისინი ვერ ჩაერევიან ოჯახის საქმეში, სკოლის

გარეთ არსებულ საკითხებში. ასევე, ასეთი ჩარევის შემთხვევაში, არ აქვთ კონფიდენციალობის შენარჩუნების იმედი, რაც საბოლოოდ, მათ პასიურობას იწვევს. ასეთი მოქმედებებით უგულბებელიყოფილია რეფერირების მექანიზმი და პედაგოგები კანონით დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე უარს ამბობენ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა შეისწავლა სამართალდამცავი ორგანოების მიერ ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტებზე რეაგირების რაოდენობრივი მაჩვენებლები.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის მიხედვით, დასჯადია სრულწლოვანი პირის სქესობრივი კავშირი 16 წელს მიუღწეველ პირთან. მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ასაკში ქორწინებისას საკმაოდ მაღალია 16 წლამდე პირების სრულწლოვან პირებთან ურთიერთობის შემთხვევები, საკმაოდ დაბალია რეაგირების მაჩვენებელი. ასევე, პრობლემას წარმოადგენს მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე და არაინფორმირებულობა. ხშირ შემთხვევაში, მათ არ იციან, რომ აღნიშნული მუხლი შემამსუბუქებელ გარემოებას არ ითვალისწინებს და ოჯახის შექმნით (თუ ოჯახის შექმნის მიზნით) ვერ იქნება გამართლებული. საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, რეაგირება საკმაოდ გაზრდილია, რაც დადებითად უნდა აღინიშნოს. მაგალითისთვის; 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს სსკ 140-ე მუხლით დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნის მაჩვენებელი 74%-ით არის გაზრდილი; 2014 წელს სსკ 140-ე მუხლით სისხლის სამართლებრივი დევნა 33 პირის მიმართ დაიწყო, ხოლო 2015 წელს – 129 პირის მიმართ<sup>5</sup>.

სსკ 143-ე მუხლით ისჯება ადამიანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მათ შორის, არასრულწლოვანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რომელიც შეიძლება იყოს ქორწინების მიზნით მოტაცება. აღსანიშნავია, რომ 82%-ით გაზრდილია სსკ 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის პირთა მიმართ დევნის მაჩვენებელიც, რომელიც 2014 წელს 11 იყო; ხოლო 2015 წელს 60-ს მიაღწია. ამ შემთხვევებიდან, 2015 წლის პირველ ნახევარში, დევნა სულ სამი პირის მიმართ დაიწყო და სამივე სისხლის სამართლის საქმეზე გამოიკვეთა, რომ თავისუფლების უკანონო აღკვეთა ქორწინების მიზნით<sup>6</sup> მოხდა, ხოლო 2015 წლის მეორე 6 თვის მონაცემებით, სულ 57 შემთხვევა დაფიქსირდა. თუმცა, ეს მაჩვენებელი არ გულისხმობს მხოლოდ არასრულწლოვანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთას, ვინაიდან, როგორც საქართველოს პროკურატურა გვატყობინებს<sup>7</sup>, აღნიშნულის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის<sup>8</sup> თანახმად, 2014 წლის განმავლობაში, მათ სკოლებიდან ან შინაგან საქმეთა სამინისტროდან, ადრეულ ასაკში ქორწინების არცერთი შემთხვევის შესახებ არ მიუღიათ შეტყობინება, ხოლო იმ რამდენიმე ფაქტის შესწავლა, რომელიც მათ მიერ განხორციელდა, საქართველოს სახალხო დამცველის

<sup>5</sup> საქართველოს პროკურატურის წერილები #13/60324 / 25.09.15 – #13/5363 / 23.01.16

<sup>6</sup> საქართველოს პროკურატურის წერილი #13/60324 / 25.09.15


<sup>7</sup> საქართველოს პროკურატურის წერილი #13/5363 / 23.01.16

<sup>8</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი #04/16119; 09/03/2015



აპარატის მიმართვის შედეგად გახდა შესაძლებელი. ერთი შემთხვევის შესახებ კი, საავადმყოფოდან ეცნობათ. 2015 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ადრეულ ასაკში ქორწინების შესახებ შესწავლილი საქმეების მთლიანი რაოდენობა 47 იყო. მონაცემები იძლევა მათი რეგიონების მიხედვით გადანაწილების შესაძლებლობას<sup>9</sup>.

**ცხრილი #6: სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შესწავლილი საქმეების რაოდენობა (2015 წელი)**



სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საქმიანობის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა სხვადასხვა ხარვეზები, როგორც არის მაგალითად - ქართული ენის არმცოდნე პირებისთვის სერვისის მიწოდების ხარვეზები ან რეაგირების შეუძლებლობა იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვების მშობლები და თავად ბავშვები არ გამოთქვამენ რაიმე სახის პროტესტს ან უკმაყოფილებას მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. ასეთ დროს, სოციალური მუშაკები მიიჩნევენ, რომ რეაგირება საჭირო აღარ არის, რადგან ბავშვის ინტერესები დაცულია, რაც სინამდვილეში ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის ვალდებულებას, რომელიც ბავშვის უფლებათა კონვენციის მესამე მუხლის თანახმად, სწორედ, სახელმწიფოს აკისრია.

არსებულმა ვითარებამ ნათელი გახადა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოსაც, ისევე, როგორც სკოლებს, უძნელდება კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება ისეთ რეგიონებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ, ვინაიდან ენის ბარიერი საგრძნობლად აფერხებს მუშაობის პროცესს და ასევე განაპირობებს სერვისების ნაკლებობას. შედეგად კი, ზარალდება ისეთი მოწყვლადი ჯგუფი, როგორც ძალადობის მსხვერპლი ბავშვებია.

<sup>9</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილები #04/71601 / 22.09.15 – #04/3552 / 18.01.16

## ადრეულ ასაკში ქორწინების პრაქტიკა საქართველოს რეგიონებში

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში საინფორმაციო და ფოკუს ჯგუფის შეხვედრები მოაწყო<sup>10</sup>. შეხვედრები მიზნად ისახავდა ადრეულ ასაკში ქორწინების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, მისი გამომწვევი მიზეზებისა და თანმდევი პრობლემების ადგილზე გაცნობას. ვიზიტების ფარგლებში გასაუბრება მოხდა როგორც პედაგოგებთან თუ სხვა სერვისის მიმწოდებელ სტრუქტურებთან, ასევე, სკოლის მოსწავლეებთან.

შესწავლის შედეგები ცხადყოფს, რომ მოსახლეობას და მათ შორის ბავშვებს, არ აქვთ სათანადო ინფორმაცია იძულებითი ქორწინების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის შესახებ. დღემდე მოქმედებს პრინციპი – „ოჯახის საქმე“, რომელში ჩარევასაც სხვადასხვა დაინტერესებული პირები თავს არიდებენ. პასუხისმგებლობას არ გრძნობენ პედაგოგებიც, რომლებიც ფაქტის შეტყობის შედეგად, არ მოქმედებენ კანონით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად. მეტიც, შეხვედრაზე დამსწრე მასწავლებელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არც კი იცოდა ასეთი ვალდებულებების არსებობის შესახებ. ასევე, მოქმედებს გენდერული სტერეოტიპები, რომლებიც გოგონების უთანასწორო მდგომარეობაში ჩაყენებით ახალისებს ადრეული ქორწინების პრაქტიკას.

ამასთან, ადრეულ ასაკში ქორწინების მიზეზები მოსახლეობას არასწორად აქვს დანახული. შეხვედრის მონაწილეები ასეთად ასახელებდნენ ბავშვების სითამამეს, ტექნოლოგიურ წინსვლას, რელიგიურ ფაქტორებს, ინტერესს საპირისპირო სქესის მიმართ, თუმცა არ განიხილავდნენ გარემოებას, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტები ინფორმაციის ნაკლებობას, გენდერულ უთანასწორობასა და საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებს უკავშირდება.

მონაწილეები საუბრობენ გოგონებისთვის მიცემულ ზედმეტ თავისუფლებაზე, რასაც ხშირად სავალალო შედეგები ახლავს თან. მათი აზრით, ზედმეტი თავისუფლება სწორედ ის ფაქტორია, რომელსაც ადრეულ ასაკში ქორწინებამდე მივყავართ.

- ვფიქრობ, ინტერნეტმა და თავისუფლებამ მოიტანა ეს. მასწავლებელი ვარ და ყოველ წელს კლასში თითო გოგონა მაკლდება. 14–16 წლის გოგონებს დიდი თავისუფლება მიანიჭეს და ვფიქრობ, რომ 20 წლის წინ ეს საკითხი სხვანაირად იდგა. შეიძლება პერსპექტივის ნაკლებობაც იყოს ამის მიზეზი. (საგარეჯო)
- ვფიქრობ, ახალგაზრდობამ ცუდად გაიგო თავისუფლების იდეა და ამის გამოხატვა უნდათ ისეთ რამეებში, რაზეც დაფიქრება მართებთ. მათი თავისუფლება უფრო თავხედობაში ვლინდება. (ხულო)

<sup>10</sup> შეხვედრები გაიმართა სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის რეგიონებში, ასევე აჭარის ა/რ მაღალმთიან სოფლებში. სულ ჩატარდა 30 შეხვედრა, 22 ქალაქსა და სოფელში, 750 პირის მონაწილეობით.

თუმცა, ეს საზოგადოება არ აცნობიერებს, რომ საპირისპირო სქესის მიმართ ინტერესი მოზარდებს განსაკუთრებით გარდატეხის ასაკში უმძაფრდებათ, რაც ნორმალურია და ეს ქორწინებით არ უნდა სრულდებოდეს. სინამდვილეში მოზარდებმა, განსაკუთრებით კი, გოგონებმა იციან, რომ მითქმა-მოთქმისა და განსჯის საგანი გახდებიან მეზობლების, ნათესავებისა და პედაგოგების მხრიდან, თუკი საპირისპირო სქესის მიმართ ინტერესს გამოხატავენ. სასიყვარულო თუ მეგობრულ შეხვედრებზე საპირისპირო სქესის მოზარდთან შეხვედრა გოგოს სახელს გაუფუჭებს და ის ვეღარ შეძლებს გათხოვებას, რაც რეგიონებში გოგოს მომავლის დაღუპვის ტოლფასია.

შესაბამისად, ახალგაზრდებს ურჩევნიათ თავიანთი ურთიერთობების „ლეგალიზება“ მოახდინონ, რაც ნიშნობით ან ქორწინებით არის შესაძლებელი და ასეთი ნაბიჯი გოგონებს რეპუტაციის შელახვისგან იცავს. ანუ, ადრეულ ასაკში ქორწინების ერთ-ერთი მიზეზი, სწორედ, გენდერული უთანასწორობაა, ვინაიდან გოგონების მიმართ დაწესებულია ისეთი მოთხოვნები, რომელთა თანახმადაც, მათ არც ერთი ისეთი ნაბიჯი არ უნდა გადადგან, რომელიც მათ პატიოსნებას ჩრდილს მიაყენებს. თუმცა, იგივე არ მოეთხოვებათ ბიჭებს, პირიქით, ზოგიერთი აღნიშნავდა, რომ ბიჭისთვის უფრო სასახელოა საპირისპირო სქესთან შეხვედრები და ეს მას გამოცდილებათაც კი ეთვლება. მშობლები კი, მიიჩნევენ, რომ გათხოვებით თუ ნიშნობით თავიანთ გოგონებს რისკს აარიდებენ და მას, როგორც თავად ხშირად უწოდებენ, „პატრონს ჩააბარებენ“.

როგორც ირკვევა, ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტების უმრავლესობას არა ბავშვების სითამამე, არამედ მშობლების გადაწყვეტილება უდევს საფუძვლად. ზოგიერთ შემთხვევაში, მშობლები თავად არჩევენ ოჯახებს და შვილების დაუკითხავად წყვეტენ მათი დაოჯახების ამბავს. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც წყვილი პირველად ერთმანეთს ქორწილში ხვდება, ხოლო ნიშნობის რიტუალი მათ გარეშე ტარდება. ასეთი ფორმა, ძირითადად, აზერბაიჯანულ დასახლებებშია გავრცელებული. ძირითადი მამოტივირებელი კი, ოჯახების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. მასწავლებლები თვლიან, რომ მშობლებისთვის იძულებითი ქორწინება ფინანსური გარიგებაა.

როგორც საინფორმაციო შეხვედრებიდან ჩანს, კახეთისა და აჭარის რეგიონში მოტაცებები აღარ ხდება, თუმცა სამცხე-ჯავახეთში, კერძოდ, ახალქალაქში კვლავ დამკვიდრებულ პრაქტიკად ითვლება. რაც შეეხება ადრეულ ასაკში ქორწინების მიზეზებს, მონაწილეთა აზრით, ყველაზე აქტუალური მომავლის პერსპექტივის არქონაა, რაც განათლების მიღებისას ორმაგ სტანდარტს უკავშირდება.

მარნეულში ადრეულ ასაკში ქორწინების დამკვიდრებული ფორმებიდან, ძირითადად, დანიშნვის პრაქტიკა გამოირჩევა. ეს არის ტრადიციის ერთგვარი ფორმა, რომელსაც როგორც წესი, მშობლები წყვეტენ და ამით, გოგონას და ბიჭის ურთიერთობა ოჯახისთვისაც და საზოგადოებისთვისაც ლეგალური და მისაღები ხდება.

აღსანიშნავია, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების გამო, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში არ არის გამოკვეთილი მხოლოდ გოგონების მიერ სკოლის მიტოვების ფაქტები. ბიჭებიც ნაკლებად დადიან დამამთავრებელ კლასებში, რადგან ფიქსირდება ბავშვთა შრომა

შინა მეურნეობებში. განსხვავებული ვითარებაა აჭარაში, სადაც კატეგორიულად უარყოფენ ბავშვების, როგორც სამუშაო ძალის გამოყენებას სკოლის მიტოვების ხარჯზე.

- არამარტო გოგონები ტოვებენ სკოლას, არამედ ბიჭებშიც ძალიან მაღალი ციფრია. მე-9 კლასის მაღლა აღარ დადიან სკოლაში. განსაკუთრებით, ადიგენის რაიონში. ისინი მიდიან მთაში სამუშაოდ და მშობლებიც თვლიან, რომ აღარ სჭირდებათ განათლება. (ახალციხე)
- ეს ბიჭების მიმართაც ასეა, სახლში მაგათაც ამუშავებენ და ეს სოციალური ფაქტორია. (ლაგოდეხი)
- მარნეულში ხშირია შემთხვევები, როდესაც 9 კლასს არ ამთავრებენ, თუმცა, შემდეგ ატესტატისთვის ბრუნდებიან და სწავლას განაგრძობენ.
- სოფლის სკოლებში მინიმუმ 2 შემთხვევა მაინც არის, როდესაც ინიშნებიან და მე მგონია ესეც არის ადრეული ქორწინების სახე. მათ მე-8 კლასში უკვე იციან თავიანთი საქმროს შესახებ. გოგონები გაკვეთილებს არ ესწრებიან და სკოლა-მიტოვებულად არ აღირიცხებიან, რადგან დირექტორებიც ხელს უწყობენ. ხშირ შემთხვევაში, საქმროებს არ სურთ, რომ გოგონებმა სკოლაში იარონ. სოფლებში რომ გახვიდეთ, აღმოაჩნთ, რომ გოგონები დამამთავრებელ კლასებში აღარ დადიან. ერთ სოფელში მასწავლებელმა ჰკითხა გოგონას თუ რატომ გათხოვდა, რის გამოც დიდი უსიამოვნება შეხვდა თემში. (მარნეული)

მარნეულში შეხვედრის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ბოლო წლებში, გოგონებისთვის განათლების მიცემა უფრო პრიორიტეტული გახდა, თუმცა პრობლემას სიღარიბე წარმოადგენს.

- გოგონები იმიტომ არ დადიან დამამთავრებელ კლასებში, რომ მშობლებს სოფლებში არა აქვთ თანხა შვილებს უყიდონ წიგნები და დანარჩენი ინვენტარი. ასე რომ, მათ უწევთ არჩევანის გაკეთება, თუ რომელ შვილს მისცენ შესაბამისი განათლება. (მარნეული)

ასევე, აღინიშნა განათლების სისტემის ხარვეზები. პედაგოგებმა და შეხვედრის დამსწრე სხვა პირებმა უკმაყოფილება გამოთქვეს თანამედროვე განათლების სისტემის თაობაზე და ის მოძველებულად მიიჩნიეს:

- სკოლებში ძირითადად სწავლება მიდის ძველი მეთოდებით, ხოლო დღევანდელი ბავშვები ისე არიან განვითარებულები, რომ აღარ აინტერესებთ სწავლების ეს მოდელი. უფრო ახალი და საინტერესო ინფორმაციის გაგება უნდათ, სექსობრივი ჯანმრთელობის საკითხებზე განათლება სჭირდებათ. (მარნეული)

ბოლნისში შეხვედრისას საუბარი შეეხო იძულებითი ქორწინების ფაქტებსაც. აღსანიშნავია, რომ იძულებითი ქორწინების ინიციატორი ხშირ შემთხვევაში მშობლები ან ოჯახის სხვა წევრები არიან ხოლო გოგოს უფლება არ აქვს უარი თქვას ქორწინებაზე ან ნიშნობაზე, თუ საამისოდ რაიმე განსაკუთრებული მიზეზი არ გამოიკვეთება. შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს მათ რეგიონში არსებულ ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტების სიმრავლეზე;

მოიყვანეს იძულებით ქორწინების მაგალითები. ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახიდურში, როცა 15 წლის გოგონას ქორწინებას აიძულებდნენ, მას ჯერ საქმრო გაუსწორდა ფიზიკურად, რადგან გოგონამ უარი თქვა ქორწინებაზე, ხოლო შემდეგ, მან თვითმკვლელობა სცადა.

ქვემო ქართლის რეგიონში ჩატარებულ შეხვედრებზე გამოვლინდა, რომ მოტაცებული გოგონების უმრავლესობა საზოგადოებისა და ოჯახის ზეწოლით, იძულებულია ცოლად გაჰყვეს გამტაცებელს, რათა „სახელი არ გაუტყდეს“. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, მოტაცებულ გოგონას არავინ აღარ მოიყვანს ცოლად; ის მუდმივი მითქმა-მოთქმისა და ქილიკისთვისაა განწირული, ხოლო თუ გოგო გათხოვებას ვეღარ შეძლებს, ის „დაღუპულია“. ზოგიერთ შემთხვევაში კი, გოგო იძულებულია არ აღიაროს გატაცების ფაქტი, რადგან მისი ოჯახის წევრები არ დადგენენ საფრთხის წინაშე, ვინაიდან შეეცდებიან გამტაცებელზე შური იძიონ.

### **ადრეულ ასაკში ქორწინების შედეგები**

ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევები უნდა განვიხილოთ, როგორც ძალადობა. ასეთ მიდგომას იზიარებს და ადასტურებს არაერთი კვლევა, რომელიც სხვადასხვა მსგავსი პრობლემის მქონე ქვეყნებში ჩატარდა. ადრეულ ასაკში ქორწინება არის ძალადობის ფორმა, სადაც თავად არასრულწლოვანი შესაძლოა, ვერ აცნობიერებდეს იმ რისკებსა და საფრთხეებს, რომელთა წინაშეც ის ამ ნაბიჯის გადადგმით დგება, ხოლო მისი მშობელი (მეურვე/მზრუნველი) და სხვა ბავშვის ძალადობისაგან დაცვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურები, ვალდებულნი არიან ყველა ღონე იხმარონ, რათა ბავშვები ამ შედეგებს აარიდონ.

ადრეულ ასაკში ქორწინების შედეგად ბავშვები/არასრულწლოვნები დგებიან ისეთი საფრთხეების წინაშე, როგორც არის ოჯახში ძალადობა. ისინი გაცილებით მოწყვლადები არიან და ნაკლები ინფორმაცია აქვთ დაცვის მექანიზმების შესახებ. ამასთან, ძალადობას იღებენ უკვე როგორც მოცემულ, გამოუვალ მდგომარეობას და შესაბამისად, უძნელდებათ თავის დაღწევა. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ საქართველოში არსებულ სოციალურ ასპექტებს და მოთხოვნებს, რომლებიც გენდერული უთანასწორობის პრინციპებიდან იღებს სათავეს; როგორც არის მაგალითად, გოგოს, ქალის მიმართ საზოგადოების მხრიდან დაწესებული არაფორმალური მოთხოვნები - პატიოსნების, უბიწობის და შემდეგ უკვე ოჯახის შენარჩუნების და თმენის ვალდებულებების შესახებ.

გარდა ამისა, ადრეული ქორწინების შედეგად ზიანდება ჯანმრთელობა. ცნობილია, რომ 16 წლამდე გოგონები 5-ჯერ უფრო დიდი რისკის ქვეშ დგანან მშობიარობის დროს გართულებებისა და გარდაცვალების თვალსაზრისით. ამასთან, ზიანდება მათი რეპროდუქციული ფუნქციები და იზრდება სიმსივნური დაავადებების რისკებიც. ხოლო ოჯახის დაგეგმვის შესაძლებლობას, როგორც წესი, გოგონები მოკლებულნი არიან - ვერ იღებენ გადაწყვეტილებას თუ როდის გახდნენ დედა ან რამდენი შვილის ყოლა სურთ. ამას განაპირობებს, როგორც კონტრაცეპტივების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, ასევე, ინფორმაციის ნაკლებობა ასეთი საშუალებების შესახებ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია,

საზოგადოების დამოკიდებულება და მოთხოვნები, რომლებიც გათხოვილ გოგოს აიძულებენ შვილების გაჩენას და წინააღმდეგ შემთხვევაში, მას სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ. ამ ყველაფერს კი, შედეგად მოსდევს აბორტი, რომელიც ხშირად არაკეთილსაიმედო გარემოში მიმდინარეობს.

გამოკითხულთა აზრით, ადრეულ ასაკში ქორწინებისას ჯამრთელობისა და სხვა რისკების გარდა, ყველაზე პრობლემატურია გოგონების განვითარების პერსპექტივის ნაკლებობა, რაც დაქორწინების გარეშე უფრო ადვილად მიიღწევა. აგრეთვე, ხაზგასმით აღინიშნა ოჯახში ძალადობის დიდი ალბათობა და უფლებების არცოდნით გამოწვეული სხვა პრობლემები.

დაქორწინების შემდეგ, გოგონები ხშირ შემთხვევაში სჯერდებიან დაბალანაზღაურებად სამსახურებს და ბავშვებს აღსაზრდელად ოჯახის სხვა წევრებს უტოვებენ. რაც შეეხება გათხოვების შემდეგ გოგონების სკოლაში სიარულსა და სწავლას, შეხვედრის მონაწილეების აზრით, თუ მეუღლის ოჯახისთვის სწავლა პრიორიტეტულია, იზრუნებენ მის შემდგომ განვითარებაზე.

- *თუ გოგოს გათხოვება და სწავლა სამომავლო გეგმის ნაწილია, გრძელდება მისი აკადემიური მოსწრება, ხოლო თუ გეგმაში სწავლის გაგრძელება არ შედიოდა, მოსწრება უარესდება. (ახალციხე)*
- *იმავითა, რომ გათხოვილი იყოს და მაღალი აკადემიური მოსწრება ჰქონდეს. (საგარეჯო)*
- *ეს დამოკიდებულია ოჯახის ღირებულებებზე, თუ მათთვის განათლება მნიშვნელოვანია, აუცილებლად დაამთავრებინებენ; თუმცა არიან ოჯახები, რომლებსაც სწავლა არ აინტერესებთ. (ბათუმი)*
- *მშობლებს უდიდესი წვლილი მიუძღვით გოგონების ადრეულ ასაკში გათხოვებისას. ბავშვებს ხშირად მხარდაჭერა და სტიმული არა აქვთ მშობლებისგან და ფიქრობენ, რომ თუ მშობელი არ გამიშვებს სასწავლებლად, გავთხოვდებიო. სწორედ, ამის შემდეგ იწყებენ ისინი ფიქრს გათხოვებაზე. გოგონამ იმდენი განათლება უნდა მიიღოს, რომ შვილი როდესაც ეყოლება სათანადოდ გაზარდოს. (მარნეული)*

წალკაში ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა 13 წლის გოგოს გათხოვების ფაქტზე ისაუბრა. მას 14 წლის ასაკში შეეძინა შვილი და მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში სიარულს ახერხებდა, სხვა ბავშვების მშობლებმა დირექტორს მისთვის მოსწავლის სტატუსის შეჩერება მოსთხოვეს, რადგან არ სურდათ, რომ თავიანთი შვილების გვერდით გათხოვილი და შვილიანი გოგო მჯდარიყო. მოგვიანებით, მოსწავლის სტატუსი დირექტორმა მას ისევ აღუდგინა.

ახალქალაქის შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ თავისი კლასის მაგალითზე აღნიშნა, რომ დამამთავრებელ კლასში სწავლობს, საიდანაც მისი ორი კლასელი გოგონა ადრეულ ასაკში დაქორწინდა. აქედან ერთს ბავშვიც ჰყავს. ნინოწმინდაში კი, მიაჩნიათ, რომ გოგონები ქორწინების შემდეგ აღარ აგრძელებენ სწავლას, რადგან კომფორტულად არ გრძნობენ თავს

და მასწავლებლებიც ფიქრობენ, რომ ორსული გოგოს სკოლაში სიარული „არ არის ლამაზი“. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ხულოს მაგალითი, სადაც მთელი კლასი, მათ შორის პედაგოგიური კოლექტივი, მზრუნველობს და ყურადღებას აქცევს კლასში მყოფ ორსულ გოგონას.

- *თუ თხოვდება ან მდიდარ ოჯახში მოხვდება, სწავლას აღარ აგრძელებინებენ, ან თუ ოჯახი თანახმაა და გოგონა სკოლაში გამოუშვებს, სკოლის დირექცია არ დაუშვებს, რომ ორსულმა გაკვეთილებზე იაროს. (ახალქალაქი)*
- *ორსულ ბავშვს გაკვეთილზე რომ დასვამს სკოლის დირექტორი ეს ნორმალურია? ცალკე სკოლები უნდა არსებობდეს ასეთი ბავშვებისთვის. (ლაგოდეხი)*
- *არ შეიძლება ფეხმძიმე ბავშვი იჯდეს გაკვეთილზე, ზნეობრივად ეს გამართლებულია? (ლაგოდეხი)*
- *თუ მას განათლების მიღება უნდა ნულა მივა იქამდე რომ დაორსულდეს. (თელავი)*
- *არ არის მიზანშეწონილი ორსული ბავშვი გაკვეთილზე იჯდეს. (შუახევი)*

გარდა სხვადასხვა ფაქტორებისა და რეგიონში არსებული რეალობისა, მონაწილეები აცნობიერებენ ადრეულ ასაკში ქორწინების რისკებს და შემდეგ შეფასებებს აკეთებენ:

- *როდესაც ხარ 18–25 წლამდე და ამავდროულად ადრეულ ასაკში დაქორწინდი, შენი ყველაზე მნიშვნელოვანი დრო გადის ოჯახის მოვლაში, რჩები უსამსახუროდ და ვერ იღებ შესაბამის განათლებას; შესაბამისად, შეილებსაც ვერ აძლევ განათლებას. გარდა ამისა, ადრეულ ასაკში ქორწინებები ხშირად განქორწინებით მთავრდება და ამ დროს ადამიანი შეუმდგარია. (ნინოწმინდა)*
- *ამ დროს გოგონები სწავლას თავს ანებებენ და ხელი ეშლებათ განათლების მიღებაში. შესაბამისად, არა აქვთ საკმარისი ცოდნა იმისათვის, რომ შვილები აღზარდონ და ამასთან ერთად იმის დიდი რისკიც არსებობს, რომ შვილიც ასე მოიქცევა. (საგარეჯო)*
- *ამ ასაკში მოზარდები მოუმწიფებლები არიან, რეალურად ოჯახის დანგრევა მოჰყვება ამ ასაკში ქორწინებას. (თელავი)*
- *ადრეულ ასაკში ქორწინება არა მხოლოდ ფსიქიკურ პრობლემებს ქმნის, არამედ ფიზიოლოგიურთანაც არის დაკავშირებული. ისინი არ არიან ჩამოყალიბებულნი და მათზე ხორციელდება დიდი ზეწოლა. აგრეთვე გოგონებისთვის დიდი რისკია, როდესაც უშვილობის პრობლემები იჩენს თავს. (მარნეული)*
- *შარშან, 14 წლის მოზარდი გადაყვა მშობიარობას, მშობლებმა ნაძალადევად გაათხოვეს და ასეთი მძიმე შედეგით დასრულდა. (მარნეული)*

## **გენდერული როლები და სტერეოტიპები**

გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, საქართველოში დამკვიდრებული გენდერული როლების მიხედვით, უმაღლესი განათლება ბიჭის შემთხვევაში პრიორიტეტულია, რადგან

ის განიხილება ოჯახის ფინანსურ უზრუნველყოფად, ხოლო ქალის შემთხვევაში – არა, რადგან მისი ძირითადი სამომავლო პერსპექტივა დაქორწინებას უკავშირდება.

- შეიძლება არ იყოს უშუალოდ პირდაპირი ძალდატანება, მაგრამ იყოს არაპირდაპირი და ამაში იგულისხმება შემდეგი: როდესაც მაგ. სოფლებში და განსაკუთრებით ჯავახეთსა და ადიგენში ატარებ გამოკითხვას დაეუშვათ მწირი ფინანსური შესაძლებლობების შემთხვევაში რომელ შვილს მისცემდით განათლებას, მშობლები პასუხობენ, რომ ბიჭს, იმიტომ რომ გოგო მაინც გათხოვდება. ასეთი დამოკიდებულებით გოგონებს არ უტოვებენ სხვა გზას, გარდა იმისა, რომ გათხოვდნენ. ირიბად ეს არის სწორედ ძალდატანება, როცა გოგოს არ რჩება სხვა არჩევანი. (ახალციხე)

განსხვავებულად ფიქრობენ აჭარაში და მიაჩნიათ, რომ მშობელი ყველაფერს აკეთებს, რათა შვილებს შესაბამისი განათლება მისცეს, თუმცა აქაც დაფიქსირდა ბიჭის უპირატესობა, როგორც „ოჯახში შემომტანის“.

- ჩვენთან დაფინანსება მეტია, რადგან მაღალმთიანი რაიონია და არ გამიგია, რომ რომელიმე ოჯახში ყოფილიყო არჩევანის გაკეთება გოგოს და ბიჭს შორის სწავლის მხრივ. (ხულო)
- ნაწილობრივ ბიჭი უპირატესია. ოჯახში უნდა იყოს გაყოფილი ფუნქციები და აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ მამაკაცს აკისრია ოჯახის უფროსის როლი და ქალის მთავარი მოვალეობა შვილების გაზრდაა. (ხულო)

შესაბამისად, გამოიკვეთა წინასწარ ჩამოყალიბებული, პატრიარქალური წარმოდგენები გენდერულ როლებზე, რომლის მიხედვითაც, ქალის ძირითადი ფუნქცია ბავშვების აღზრდა და საშინაო საქმეების მოგვარებაა, ხოლო კაცს ეკონომიკური უზრუნველყოფა ევალება. აგრეთვე აღინიშნა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, არა აქვს მნიშვნელობა ქალის საზოგადოებრივ როლს, რადგან ის სახლში მაინც ვალდებული იქნება გააკეთოს საქმელი ან დარეცხოს ჭურჭელი.

- ქალი შეიძლება იჯდეს პარლამენტში, ცხოვრობდეს თბილისში ან ხულოში. დამერწმუნეთ, როდესაც ის სახლში მივა, მაინც შეასრულებს იმ ვალდებულებებსა და მოვალეობებს, რაც არის წყლის მიტანა თუ სარეცხის გარეცხვა. ფაქტია, რომ თანაბრად მდები მარილი ისევ ქალმა უნდა მიაწოდოს კაცს და მინიმალურ მდგომარეობაში კაცი ყოველთვის მაღლა დგას. (ხულო)

მიუხედავად იმისა, რომ კაცებს ხშირ შემთხვევაში მთავარ ფინანსურ უზრუნველყოფად მოიაზრებენ, ხოლო ქალებს ბავშვების აღზრდად და დიასახლისად, აგრეთვე საუბრობენ ბოლო წლების ტენდენციებზე, როდესაც მარჩენალის ფუნქცია თავის თავზე ქალებმა აიღეს. მონაწილეების აზრით, საქართველოს მასშტაბით, დღესდღეობით, ძირითადი „შემომტანები“ ქალები არიან და პრობლემას წარმოადგენს მიგრაციის ფემინიზაცია.



მარნეულში შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ოჯახისთვის სქესს მნიშვნელობა არა აქვს, როდესაც საქმე განათლებას ეხება. ვინაიდან, უმაღლესი განათლება დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული, მშობლებს უწევთ არჩევანის გაკეთება თუ რომელ შვილს გაუშვებენ სასწავლებლად, თუმცა გადაწყვეტილება შვილების მაღალ მოსწრებაზე და სწავლისადმი ინტერესზეა დამოკიდებული:

- ჩვენთან უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა გოგოა თუ ბიჭი, რომელი ბავშვიც უკეთ სწავლობს და შედეგი ექნება, იმას უშვებენ სასწავლებლად (მარნეული)

აგრეთვე დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია მამებისთვის ე.წ. „დეკრეტული შვებულებით“ სარგებლობამ, რადგან მათი აზრით, თავად ტერმინი „დეკრეტული შვებულება“ შეურაცხმყოფელია და საჭიროა მისი ჩანაცვლება უფრო ნეიტრალური სახელწოდებით, მაგ: „ბავშვის გამო შვებულება“.

- თუ მეუღლე ცოცხალი აღარ არის, მაშინ ავიღებდი დეკრეტულს და თუ ცოცხალია არავითარ შემთხვევაში. ქალის მთავარი ფუნქცია და მოვალეობა დედობაა. მან უნდა გაზარდოს ბავშვი. (შუახევი)

სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში ფიქრობენ, რომ გოგოსთვის 25 წლის ასაკში უკვე დაგვიანებულია ქორწინება, ხოლო 20 წელი კარგი ასაკია გათხოვებისთვის.

#### **ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციაზე პასუხისმგებელ პირთა როლი**

თელავში ხაზგასმით ისაუბრეს მშობლის როლსა და პასუხისმგებლობაზე, რომ მან უნდა მიაწოდოს ბავშვს ინფორმაცია ყველა იმ დეტალზე, რაც ადრეულ ასაკში მისი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. მონაწილეების აზრით, მშობელი იმიტომ არის მშობელი, რომ მას აქვს აღზრდის პასუხისმგებლობა, თუმცა დაფიქსირდა საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, მასწავლებლებს არანაკლები როლი აკისრიათ ბავშვების განვითარებაში:

- გავითვალისწინოთ, რომ ყველა ბავშვს არ ჰყავს მშობელი. სკოლებში რეალური პრობლემაა, როდესაც ბიოლოგიაში ყველა მასწავლებელი ახტება იმ გაკვეთილს, რომელიც ქალისა და კაცის ანატომიას ეხება. გავითვალისწინოთ მშობლების დონეც, რა განათლება აქვთ მშობლებს და როგორ აძლევენ ისინი ამ განათლებას შვილებს? ამიტომ მგონია, რომ პირველ რიგში სკოლის მოვალეობა უნდა იყოს მოზარდს მისცეს სწორი განათლება და ინფორმაცია. სჯობს არსებობდეს სტანდარტი, რომელიც იქნება ყველა ბავშვზე გათვლილი. (თელავი)

უნდა აღინიშნოს, რომ მონაწილეებიდან თითქმის ყველა თანხმდება ბავშვებსა და მშობლებს შორის არსებულ გაუცხოვებასა და ნეგატიურ დამოკიდებულებებზე. მათი აზრით, იშვიათია მშობლებსა და შვილებს შორის გულახდილი საუბრები. გარდა ამისა, მშობლებსაც არ სცალიათ ურთიერთობისთვის და მათი, როგორც აღმზრდელის ფუნქცია დაკარგულია. მასწავლებლების მონათხრობიდან ირკვევა, რომ ბავშვებს აინტერესებთ ინფორმაცია აივ

ინფექციასა და სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე, კონტრაცეპტივებზე, მენსტრუაციასა და მასთან დაკავშირებულ მოვლენებზე; რეალურად კი, ბევრი მშობელი შვილს ასეთ თემებზე ვერ ესაუბრება, იმიტომ რომ ერიდებათ, ან არ თვლიან საჭიროდ მათთან ინფორმაციის გაზიარებას. შესაბამისად, ბავშვებსაც უჭირთ საერთო ენის მოძებნა და ჩაკეტილები ხდებიან. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ როდესაც მშობელსა და ბავშვს შორის არ ხდება მსგავსი ტიპის ინფორმაციის გაცვლა, მათ უწევთ ბავშვებთან ამ თემებზე საუბარი და ისინი კი, ამ კუთხით მოუშადადებლები არიან. მონაწილეების აზრით, ძალიან კარგია ბავშვებთან მსგავსი შეხვედრები, მაგრამ მშობლებთან უფრო აუცილებელია, რადგან სწორედ ისინი ახორციელებენ ბავშვების მიმართ ძალადობას.

- *ავიღოთ დღევანდელი შეხვედრა. როდესაც გავიგე, რომ სახალხო დამცველის წარმომადგენლები აპირებდნენ მოსვლას, შევათანხმე მაღალ კლასელებთან და დირექტორთან, რომ ბავშვები დაესწრებოდნენ შეხვედრას. როდესაც მოვედი და ისინი მოვიძიე, აღმოჩნდა, რომ მშობლებმა არ გამოუშვეს. შესაბამისად, მოვედი ერთი მოსწავლით. ბავშვებს აკრძალული აქვთ სახლში ამ თემებზე საუბარი. (მარნეული)*

მეორე მხრივ, სკოლაში სქესობრივ ცხოვრებაზე მიწოდებულ ინფორმაციაზე იქმნება პრობლემები, რადგან ხშირად მშობლებს არ სურთ, რომ ბავშვებმა მსგავსი ტიპის განათლება მიიღონ. აგრეთვე, აღინიშნა, რომ რაიონებში დიდ ფუფუნებად ითვლება სკოლებში პროფესიონალი ფსიქოლოგების არსებობა, რაც ბალებშიც დიდ საჭიროებას წარმოადგენს.

- *ჩვენ გვქონდა ასეთი პროექტი – „ახალგაზრდებისთვის ესთეტიკური ცხოვრება“, რომელშიც ჩართული იყო რეპროდუქტოლოგი, გინეკოლოგი და ფსიქოლოგი. მე-9, მე-10 და მე-11 კლასებში გვინდოდა გვეჩვენებინა სპეციალური კლიპი და დამრიგებელსა და სკოლის დირექტორს ვთხოვეთ ნებართვა. მათ პრობლემა არ ჰქონიათ, თუმცა გვთხოვეს მშობლებისგან მიგველო თანხმობა. როგორც გაირკვა, უმრავლესობა არ იყო თანახმა, მათ შვილს მიეღო მონაწილეობა პროექტში და ბოლოს, მხოლოდ 10 ბავშვი შევაგროვეთ. (ახალციხე)*
- *ჩვენს ორგანიზაციას ჰქონდა მომზადებული პროექტი „ბავშვებისთვის რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე ინფორმაციის მიწოდება“ და სკოლებში ვატარებდით გოგონებისთვის ცალკე, ბიჭებისთვის ცალკე. ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა ძალიან დიდი წინააღმდეგობა გაგვიჩია. მე, მაგალითად, არ შემიძლია ჩემს შვილებს ვესაუბრო ამ თემებზე, მაგრამ სკოლაში ძალიან მნიშვნელოვანია ამ საკითხებზე ბავშვებთან საუბარი. (ლაგოდეხი)*
- *წელს უფროსი ასაკის გოგონებთან ვიმუშავეთ რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და ძალიან კარგად ჩაერთვნენ ბავშვები; ძალიან დიდი ინტერესი ჰქონდათ, მოწვეული სპეციალისტიც გვყავდა. (თელავი)*
- *ბავშვები დამახინჯებულად იგებენ ასეთ საკითხებზე ინფორმაციას. როდესაც ექიმი რეპროდუქტოლოგი ესაუბრება ბავშვებს, მათ განსხვავებული დამოკიდებულება უჩნდებათ და ფიქრობენ, რომ ეს მათ სასიკეთოდ ხდება. შესაბამისად, უფრო*

*გახსნილები არიან; მშობელს კიდევ არა აქვს მსგავს საკითხებზე არც განათლება და არც ინფორმაცია. (ბათუმი)*

განსხვავებული სიტუაციაა თელავში, სადაც უკვე მესამე წელია მე-2, მე-5, მე-7, მე-8 და მე-9 სკოლებში ხორციელდება პროექტი – „სამართლებრივი კულტურის სწავლება“.

- *დღესდღეობით ბავშვებს ძალიან ბევრი ინფორმაცია აქვთ. ადრეული ქორწინების თემაც ჩადებულია ამ პროგრამაში, რომელიც მე-9 კლასში უტარდებათ; ძალიან დიდი კურსია – 20 საათი. თქვენ იქ უნდა ნახოთ ბავშვების შეკითხვები, დისკუსია, აქტივობა და ა.შ. (თელავი)*

და ბოლოს, შეხვედრაზე განიხილეს მასწავლებლების როლი ადრეულ ასაკში ქორწინებასთან ბრძოლის საკითხში. როგორც გამოიკვეთა მასწავლებლები კარგად არ იცნობენ თავიანთ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს და ჰგონიათ, რომ თუ მშობელი შვილს ათხოვებს, ეს ოჯახის საქმეა. მონაწილეები ასევე საუბრობენ უსაფრთხოების გარანტიების უქონლობაზე, რადგან ხშირ შემთხვევაში, მასწავლებლები არ არიან დარწმუნებული იმაში, რომ მათი ვინაობა სოციალურ სამსახურსა თუ პოლიციასთან მიმართვის შემდეგ არ იქნება გაცხადებული.

- *მასწავლებელი თუ შეატყობინებს შესაბამის სამსახურებს, მეორე დღეს მოგივარდებიან და ჩაგქოლავენ. (ახალციხე)*
- *დღესდღეობით მასწავლებლებს ფუნქცია აქვთ წართმეული. მასწავლებელმა რომ ბავშვს დაუყვიროს ან შენიშვნა მისცეს, მშობელი შეიძლება ავტომატით დაადგეს მეორე დღეს. (საგარეჯო)*
- *მახსოვს გოგონა მოვიდა სკოლაში, ტიროდა და მასწავლებლებს სთხოვდა დამეხმარეთო. მთელი სკოლა წავედით ამ გოგოსთან სახლში, მაგრამ მშობლებმა გამოგვისტუმრეს, თქვენ არავინ გეკითხებათო. (მარნეული)*

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მასწავლებლები თითქოს თავს იმართლებენ, რადგან ისედაც ბევრი პასუხისმგებლობა აქვთ მოსწავლეებზე აღებული. მათ არა აქვთ არანაირი ინფორმაცია პასუხისმგებლობებსა და ვალდებულებებზე, რომელიც ბავშვის ადრეულ ასაკში ქორწინების დროს სოციალური მუშაკისადმი ან პოლიციისადმი მიმართვას გულისხმობს.

რაც შეეხება სოციალური სამსახურის რეგიონებში მუშაობას, არის შემთხვევები, როდესაც არც მასწავლებლებმა და არც მოსახლეობამ არ იცის სოციალური სამსახურის არსებობის ან მათი პასუხისმგებლობების შესახებ. ლაგოდეხში აღინიშნა, რომ სოციალური მუშაკი ძირითადად სოციალურად დაუცველ ბავშვებთან მუშაობს, ხოლო ადრეული ქორწინების კუთხით, მათთვის არასდროს მიუმართავთ. აგრეთვე, თელავში ისაუბრეს იმაზე, რომ სოციალური მუშაკებისადმი სკოლის მიმართვიანობაზე არცერთი ფაქტი არ ფიქსირდება და

რეფერირების მექანიზმი არ მუშაობს. რაც შეეხება აჭარას, სოციალური სამსახურის აქტიურობის მხრივ, ხელვაჩაურსა და ბათუმში შედარებით უკეთესი ვითარებაა.

- *სოციალურ სამსახურს ბოლო შემთხვევა სკოლამ მოგვაწოდა. აგრეთვე, სახალხო დამცველის აპარატსაც მიმართავენ. მინდა აღვნიშნო, რომ თუ რაიმე უარყოფითი აქვს ინტერნეტს, აქვს დადებითიც და მედია საშუალებებით ბევრ ინფორმაციას ვიგებთ. (ბათუმი)*

სოციალური სამსახურის თანამშრომლების თქმით, ხშირია სოციალური მუშაკების გადინება სამსახურებიდან და ამას სხვადასხვა განმაპირობებელი მიზეზი აქვს: მრავალი მიმართულებით მუშაობა, დაბალი ხელფასი, არასათანადო კვალიფიკაცია და ა.შ. აგრეთვე აღინიშნა ადამიანური რესურსების ნაკლებობა. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ სოციალური მუშაკების მიმართ ფიქსირდება შესაძლო ძალადობის ფაქტები, რადგან ხშირად მათ უშუალოდ უწევთ მოძალადესთან შეხება.

მასწავლებლებს არა აქვთ გაცნობიერებული, რომ ბავშვისთვის განათლების მიღების უფლების შეზღუდვაც ძალადობაა. მასწავლებლებში გაურკვეველობას იწვევს ფაქტი, თუ რამდენადაა შესაძლებელი ერთდროულად ბავშვის სკოლაში არყოფნის მიზეზების გამოკვლევა და კონფიდენციალურობის შენარჩუნება.

- *სანამ ჯოხი მიყუდებული იქნება მარტო დირექტორზე და მასწავლებელზე, ეს საკითხი არასდროს არ მოწესრიგდება. მშობლის როლი ძალიან მნიშვნელოვანია ამ საქმეში. (ლაგოდეხი)*

პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ ბავშვებს არ აქვთ ინფორმაცია მათ ძირითად უფლებებთან დაკავშირებით და თვლიან, რომ მშობლის შეხედულება გადამწყვეტია; უჭირთ წარმოიდგინონ სიტუაცია, როდესაც მშობლის „წინააღმდეგ“ მიმართავენ სკოლას, პოლიციას ან სოციალური მომსახურების სააგენტოს.

- *გვინდა დავუხმაროთ, მაგრამ არ შეგვიძლია, რადგან მშობელი ათხოვებს. თვითონ თუ წავა პოლიციაში, ოჯახს შეარცხვენს, რადგან მათ წინააღმდეგ მისცემს ჩვენებას. (ნინოწმინდა)*
- *ბავშვმა რომც იცოდეს ვის მიმართოს, არ მივა პოლიციაში. (საგარეჯო)*
- *თელავში ყველა უბანს ჰყავს თავის უბნის ინსპექტორი და მარტივი არ არის მათთვის მიმართვა, მაგრამ არც რთულია. მე მაგალითად, მიკითხია ჩემი კლასელებისთვის ვინ არის უბნის ინსპექტორი და არ იციან. (თელავი)*

რეგიონში უფლებებთან დაკავშირებული ინფორმაცია ძალიან მწირია. მართალია, ზოგიერთ სკოლაში ისწავლება საგანი „სამოქალაქო განათლება“, თუმცა აშკარად იკვეთება, რომ პრაქტიკული ცოდნის მხრივ, მდგომარეობა მძიმეა. შეხვედრის მონაწილეები კარგად იცნობენ ქალთა მიმართ ძალადობის ფორმებსა და მიზეზებს, თუმცა უჭირთ გამოსავლის

მომეხნა და ძალადობის ფაქტებზე რეაგირება; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ოჯახურ ურთიერთობებში წარმოშობილ ფაქტებს უკავშირდება.

- ამ საკითხების განხილვით არ არის განებივრებული ჩვენი საზოგადოება. ვფიქრობ, ეს მაინც ტაბუდადებული თემებია და შეიძლება ნებისმიერი ჩვენთაგანი აქედან რომ გავიდეს, მის გარშემო ხდებოდეს მსგავსი ფაქტები და ჩვეულებრივად გააგრძელოს ცხოვრება. (საგარეჯო)

აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სკოლებში ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით პრაქტიკული ინფორმაციის მიწოდება და მეგობრული სერვისების ჩამოყალიბების ხელშეწყობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

- მე ორი წელია აქტიურად დავდივარ შეხვედრებზე და მივედი ერთ დასკვნამდე, რომ ყველა სკოლაში ამ თემებზე, მასწავლებლებთან ერთად თქვენი წარმომადგენელი შემოვიდეს და გამართოს შეხვედრა. ჩვენთან საზოგადოების უმეტესობას ჰგონია, რომ თუ რაიმეს დააშავებენ, მათ კანონი არ შეეხებათ. დაუსჯელობის სინდრომი! ეს პრობლემა ალბათ ეტაპობრივად, 5 წლის მერე მოგვარდება. (მარნეული)
- მარტო ტრენინგი არ უშველის საქმეს. უნდა დაისაჯოს ვიღაც, რომ მეორემ აღარ გაიმეოროს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთ შეხვედრებს პოლიციელებიც ესწრებოდნენ და სოციალური მუშაკებიც. (მარნეული)

მისასალმებელია ლაგოდეხის საკრებულოს მუნიციპალიტეტის წევრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, კაბალის თემში მოტაცებები აღარ ხდება მას შემდეგ, რაც საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები ადრეულ ასაკში ქორწინებაზე.

- შარშან დაგიკავშირდით და მაშინ პრობლემას ისეთი სახე ჰქონდა, რომ ჩვენთან სოფელში თითქმის ყოველდღე 2 მოტაცების ფაქტი მაინც იყო. შემდეგ თქვენი ჩარევის შედეგად, როდესაც ჩამობრძანდით, ჩაატარეთ შეხვედრა უფროსკლასელებთან და პოლიციას მიმართეთ, ისინიც გააქტიურდნენ. მანამდე პოლიცია ამბობდა, რომ ეს მათი ტრადიცია იყო და ოჯახის საქმე. თვითონ პოლიცია სთავაზობდა ოჯახებს რომ შერიგებულიყვნენ და გოგონას და ბიჭის აზრი არავის არ აინტერესებდა. თქვენი ჩარევის შედეგად კი, მოხდა დაჭერა. ეს იყო დიდი გაკვეთილი სხვებისთვის. მის შემდეგ ძალადობრივად მოტაცების ფაქტი არ ყოფილა. დიდი მადლობა ამისთვის. (ლაგოდეხი)

მარნეულის შეხვედრის დამსწრეებმაც აღნიშნეს სახელმწიფოს როლი, რომელსაც დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადრეულ ასაკში ქორწინების ფაქტების აღმოსაფხვრელად.

- პრობლემა არ არის მარტო მოსახლეობაში, არამედ სახელმწიფოშიც. 2 წელი ვმუშაობდი სასამართლოში და 15 ფაქტი მაინც მახსოვს მოტაცების შემთხვევაზე. ამ

*საქმეებიდან 100% საპროცესო შეთანხმებით დასრულდა. ასეთ შემთხვევებზე სახელმწიფო რეაგირება არ არის, მიმართვიანობაც ძალიან დაბალია. მე თავად შევესწარი ფაქტს, როდესაც გოგონა ადრეულ ასაკში დაქორწინდა და ქორწილში სკოლის დირექტორი იყო თამადა. (მარნეული)*

სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება უნდობლობით გამოირჩევა. როგორც გარდაბანში შეხვედრის დამსწრეებმა აგვიხსნეს, სამართალდამცავებისა თუ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ნდობა იმდენად დაბალია, რომ მათ არ მიმართავენ, რადგან წინასწარ აქვთ არაკეთილსაიმედო მოლოდინი. თვლიან, რომ მიმართვას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია და რეალური დახმარების იმედი არა აქვთ. ამიტომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფო უწყებებმა მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ, იმუშაონ მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლების კუთხით და მეტი ინიციატივა გამოავლინონ პროაქტიულად, ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციის მიზნით.

## **დასკვნა**

რეგიონებში გამართული საინფორმაციო შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ადრეულ ასაკში ქორწინების პრობლემის, მისი გადაჭრის გზებისა და არსებული ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის დონე ძალიან დაბალია. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ თავად სერვისის მიმწოდებლები და ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტები ვერ აცნობიერებენ პრობლემის არსს და არ ფლობენ ინფორმაციას მათსავე ვალდებულებებზე.

შემაშფოთებელია ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, მასწავლებლები არ ეთანხმებიან ორსული გოგონების სკოლაში სიარულს და ფიქრობენ, რომ ეს დაუშვებელია. შესაბამისად, ისინი ეწინააღმდეგებიან ბავშვის ფუნდამენტურ უფლებას – მიიღოს განათლება და განვითარდეს, როგორც სრულფასოვანი ადამიანი. შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში ხედავენ პრობლემის არსს, თუმცა, შესაძლო გადაჭრის გზებსა და გამოსავალზე არ აქვთ ნაფიქრი.

გოგონებს არ აქვთ ინფორმაცია სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ. მათთვის უცნობია თუ როგორ უნდა მოიქცნენ ორსულობის შემთხვევაში, რისი უფლება აქვთ, როგორია აბორტზე ხელმისაწვდომობა, კონფიდენციალურობის საკითხი და ა.შ. გოგონებმა არ იციან კონტრაცეპტივების შესახებ და მათი ცნობიერება, როგორც მათი მნიშვნელობის, ასევე გამოყენების საკითხებში ძალიან დაბალია.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათთვის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ სპეციალისტთა მიერ სემინარების ორგანიზება, რადგან აქვთ კითხვები, რომლებზეც სპეციალისტების კონსულტაცია ესაჭიროებათ.

საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად არ განხორციელებულა სტრატეგიის შემუშავება ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი პირებისთვის საქართველოსა თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების განსახორციელებლად, მათ შორის, ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებისას არსებული მომსახურებისა და სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად.

## **რეკომენდაციები**

### **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:**

- უზრუნველყოს მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებთან დაკავშირებით არსებულ ვალდებულებებზე
- ხელი შეეწყოს ბავშვთა დაცვის შესახებ რეფერირების დოკუმენტით განსაზღვრული კოორდინაციის განხორციელებას სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის; ზედამხედველობა გაეწიოს შეტყობინების ვალდებულების შესრულებას ბრძანებით გათვალისწინებულ პასუხისმგებელ სტრუქტურებს შორის
- უზრუნველყოფილი იქნას სკოლებში ღია გაკვეთილების/სემინარების ორგანიზება რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ სპეციალისტთა მონაწილეობით
- სამოქალაქო განათლების სწავლებისას მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმოს ადრეულ ასაკში ქორწინებისა თუ სხვა გენდერული უთანასწორობის საკითხების მხრივ, საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას

### **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:**

- განხორციელდეს ეთნიკური ჯგუფებისათვის მშობლიური ენის მცოდნე ფსიქოლოგების მოძიება, რათა ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე მოხდეს ადეკვატური რეაგირება
- მოხდეს სტრატეგიის შემუშავება ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი პირებისთვის საქართველოსა თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების განსახორციელებლად, მათ შორის, ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებისას არსებული მომსახურებისა და სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად

### საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- ხელი შეეწყოს ბავშვთა დაცვის შესახებ რეფერირების დოკუმენტით განსაზღვრული კოორდინაციის განხორციელებას სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, მათ შორის, შეტყობინების ვალდებულების შესრულებას
- უზრუნველყოფილ იქნას ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე რეაგირების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება და უბნის ინსპექტორის როლის გაძლიერება, რათა მოახდინოს ადგილობრივი თემის (განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა) ინფორმირება და შესთავაზოს კონსულტაციები ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე.